

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური  
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/10659  
25/10/2017

10659-09-2-2-201710251615



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრის დირექტორს  
ქალბატონ ლია თოდუას

ქალბატონო ლია,

2017 წლის 5 ოქტომბერს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურში შემოვიდა თქვენი 2017 წლის 3 ოქტომბრის N15981 წერილი, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისი, მეტრო ახმეტელის მ/ტ, შპს „უნივერსამი“-ს (ასაწონი ზუთხის თავის და კუდი) და ქ. თბილისი, ნუცუბიძის 2 მკ/რ, 3 კვ. კორპ 6 მ/ტ. შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს (თევზი -გაყინული ხევი წონის) სუპერმარკეტებში შექმნილ ნიმუშებში ლაბორატორიული კვლევის შედეგად, სიძველის ნიშნების გამოვლენის ფაქტს.

2017 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორების მიერ განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი ქ. თბილისი, მეტრო ახმეტელის მ/ტ, შპს „უნივერსამი“-ს სუპერმარკეტში. გატარებული ღონისძიებების თაობაზე გეცნობათ 2017 წლის 11 ოქტომბრის N09-2/9991 წერილით.

2017 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორების მიერ, ასევე განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი ქ. თბილისი, ნუცუბიძის 2 მკ/რ, 3 კვ. კორპ 6 მ/ტ. შპს „ნიკორა ტრეიდი“-ს სუპერმარკეტში ს/კ 206255808. აღნიშნულ ობიექტზე შემოწმებული იქნა სურსათის შენახვის პირობები, ვარგისიანობის ვადები და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს დარღვევები არ გამოვლინდა. ზემოთხსენებული

პროდუქტი (გაყინული ხეკი), რომლის მიწოდებას ახდენს შპს „ოკეანე“ ( ს/კ 200265239)  
ამოღებულია რეალიზაციიდან.

პატივისცემით,

ვასილ ბასილაძე



სამსახურის უფროსი